პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

შაბათი 15 ივლისი 1978 წ. № 165 (17209) ფასი 2 კაპ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „პროგრეს-2"

ფრენა პროგრამის მიხედვით

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 14 ივლისი. (ხაკდენი). ოთხი კვირაა „სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „პროგრეს-2" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობენ ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი.

გუშინ ეკიპაჟი ასრულებდა „პროგრეს-2" ხომალდის განტვირთვის სამუშაოებს. ტვირთის მეტი ნაწილი სადგურშია გადატანილი. ამავე დროს ამზადებენ სადგურის სათბობის ავზებს კმაგაწყობისათვის.

დღევანდელი სამუშაო დღის პროგრამით გათვალისწინებულია ველოერგომეტრზე დოზირებული ფიზიკური დატვირთვებით ეკიპაჟის ორივე წევრის კომპლექსური გამოკვლევა. ექსპერიმენტი სრულდება კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვების სისტემის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის განსაზღვრის და პროგნოზირების მიზნით. მაჩვენებლების რეგისტრაციას ახორციელებს „პოლინომ-2მ", „რეოგრაფისა" და „ბეტას" აპარატურა. დღის მეორე ნახევარში დაგეგმილია მთელი რიგი სხვა სამედიცინო გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებია და ეკიპაჟის მოხსენებებით, ორბიტული კომპლექსის ხაბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. სადგურის მიკროკლიმატის პარამეტრებიც ტემპერატურა — 20 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 780 მილიმეტრი.

ამხანაგები კოვალიონოკი და ივანჩენკოვი თავს კარგად გრძნობენ.

არქივული ასლი

დიდი ძალა

ᲨᲔᲯᲐᲚᲔᲑᲘᲜᲝ და უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით აჭრის ალსავსე ჩვენი დღევანდელობა. პარტიისა და საბჭოთა ხალხმწიფოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია. ქვეყანამ, ხალხმა უდიდესი კმაყოფილებით აღიქვა ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება, რომლის გამო მიღებულია ისტორიული დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ". ახლა ყველგან დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული პარტიის წინასწარდასახულთა ხორცშესხმისათვის.

სახელმწიფო მასშტაბის დიდმნიშვნელოვანი აქტებით აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რომლის დადგენილებებში ახალი ძალით გამოვლინდა სოციალისტური დემოკრატიის ძლევამოსილება. კანონები, რომლებიც სესიამ მიიღო, შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის, პარტიის XXIV და XXV ყრილობების, ხკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

დიდ შემოქმედებითს შრომაში, ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის ბრძოლის მეწინავეთა რიგებში არიან ადგილმბრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები. ისინი ენერგიულად რაზმავენ მშრომელებს ჩვენი ხოფლის მეურნეობის საეკონომიკო-ფინანსური წვლილის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო უშიშრობის საქმეში მაღალ შეფასებას აძლევენ ხალხები", ნათქვამია „პრავდის" მოწონებულ სტატიაში „მშვიდობის ლენინური პოლიტიკა". საბჭოთა ხალხს ღრმად სწამს, დაასკვნის „პრავდა", რომ „ჩვენს ქვეყანას მტკიცედ უპყრია ხელთ ინიციატივა ხაერთაშორისო ასპარეზზე, აქტიურად განაგრძობს მშვიდობიან შეტევას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად მხარს ხალხთა ხალხი. იგი ჩვეულებრივ მშვიდობისათვის ასობით მილიონი მებრძოლის შთაგონების წყაროა".

გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს წლევანდელი მოსავლის აღების, საწარმოთა მიერ სოციალისტური გალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ამსახველ მასალებს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ!

საქართველოს მშრომელები საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას

ოსტატობა — ხარისხის სამსახურში

435 ᲐᲗᲐᲡᲘ მანეთით გადააჭარბა მიმდინარე წლის 6 თვის რეალიზაციის გეგმას თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. ამ სულ რეალიზებულია 24 მილიონ 744 ათასი მანეთის პროდუქცია. მთლიანი პროდუქცია კი გაძლიერებულია 24 მილიონ 610 ათასი მანეთის ოდენობით. საწარმომ მიმდინარე ხუთწლედის ექვსმე დამკვრელურ წელს შრომის ნაყოფიერების გეგმას ინვარ-ივნისს პერიოდში 8,8 პროცენტით გადააჭარბა.

სახელმწიფო დავალების შესრულებასთან ერთად აკეთავები დიდ ყურადღებას უთმიღებ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. დეგანი „ჩვენი ოსტატობა — ხარისხის სამსახურში!", რომლის მოთავეც ხათელა გიგაურის ბრიგადაა, მთელმა საწარმომ აიტაცა და იბრძვის მის განსახორციელებლად. მოწინავეთა რიგებში არიან მკერავები: მ. სიმონიშვილი, ნ. ღაბაძე, დ. ბერიტიშვილი და ი. მუჯღლაძე.

გასულ 6 თვეში ფაბრიკაში დამზადებულია 6 მილიონ 348 ათასი მანეთის 18 სხვადასხვა დასახელების ხარისხისწინაანი ტანსაცმელი, რაც მოლიანი პროდუქციის 25,7 პროცენტს შეადგენს.

თ. ᲫᲚᲔᲜᲢᲘ.

გეგმა — ვადამდე!

ᲙᲐᲕᲐᲜᲘᲡ. („კომუნისტის" ხაკ. კორ.). „სამი წლის გეგმა — ვადამდე, საბჭოთა კონსტიტუციის დღის 7 ოქტომბრისათვის!" ამ დევიზით შრომობს კვანის მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი.

ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე ორგანიზაციამ, რუსთაველთა მაგალითისამებრ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ განაპირობა წარმატებები. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება 103,8 პროცენტით შესრულდა, მაღნის ამოღებისა — 1,5 პროცენტის გადაჭარბებით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 2,6 პროცენტის გადამეტებით.

ᲛᲔᲒᲔᲒᲛ ᲘᲗᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (ხაკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით გაანაღდა ნახევარი წლის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 480 ათასი მანეთისა გამოუშვა 502 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 78 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავა.

საწარმოს კოლექტივმა ასევე გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც — ნაცვლად 471 ათასი მანეთისა რეალიზებულია 483 ათასი მანეთის პროდუქცია.

Ш. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.

კომბაინერთა შეჯიბრება

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲞᲝᲒᲔᲓᲐ ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲕᲘᲛᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ?

ᲕᲘᲬᲧᲔᲕᲔᲓ Თ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ამინდის გამო პურეულის აღება დაგვიანებით დაიწყეთ. ახლა მთავარია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი ავიღოთ შემეიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ. ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის კომბაინერმა თ. იაკობაშვილმა. მან პირობა დადო 200 ჰექტარზე 12 სამუშაო დღეში აიღოს მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწოს 30 ცენტნერი პურეული და მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის თანამოსაქმეებს.

კომბაინერ თ. იაკობაშვილის მოწოდების პასუხად ვებმები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიერ დაწესებული ვიმპელისა და ფასიანი ხარუქრის მოპოვებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებში და ვიწვევ თვითონ ინიციატორ წითელწყაროელ კომბაინერს თ. იაკობაშვილს. კანონერმა: 250 ჰექტარზე პურეულის მოსავალი ავიღო 12 სამუშაო დღეში, თითოეულ ჰექტარზე გავლეწო 30 ცენტნერი მარცვალი, მინდორში არ დავტოვო არც ერთი თავთავი, მკის დროს 3 პროცენტით დაეზოგო საწვავი.

გუშინ ნაკლებმოსავლიან ფართობზე ვმუშაობდი და ხორბალი 12 ჰექტარზე ავიღე, საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერი მარცვალი გავლეწე. სხვაგან უკეთესი მოსავლიანი ფართობებია.

Д. ᲜᲐᲕᲠᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სოღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნეობის კომბაინერი.

პროგრესული მეთოდით

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ პურეულის მოსავლის შემეიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღების საქმეში მისაბაძია წითელწყაროელი კომბაინერის თ. იაკობაშვილის პატრიოტული თაოსნობა. მას მხარს ეუჭერ და ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში. გადაწყვეტე პურეულის მკის და ლეწვის, ნაწვრილეს სასილოსე სამინდის თესვის საქმეში ვიმუშაო იპატო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

1.

ამ სხდომათა დარბაზში უწინაც შეკრებილან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს აპარატის თანამშრომლები, უმსჯელიათ მათ წინაშე დასახულ პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ გახდიან უფრო კეთილმოწყობილი ,ახოერება სოფლად, ,ააგონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, ხა�tოვრებელი სახლები, სკოლები, პროფსასწავლებლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

უმსჯელიათ და წარმატებითაც განუხორციელებიათ მონაცემებად გადაწყვეტილებანი. დღეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის ხამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივის საქმიანობა. ამის ხაილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს: თუ მერვე ხუთწლედის გენერალური ,ოჯარით სამუშაოების შესრულება აქ 98,8 პროცენტს არ აღემატებოდა, შეიბრე ხუთწლედის ორჯერ უფრო დიდი აეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა.

ხერიოზული ამოცანების წინაშე დგას სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივი შეათე ხუთწლედში. მან უნდა შეასრულოს მთლიანად მანეთამდე ღირებულების ხამშენებლო-სამონტაჟო. სამუშაოები. განცალკევებულ ორნახევარი წლის შედეგები ნათლად მეტყველებენ რომ მშენებლები თავს არ შეიარცხვენენ.

მაგრამ დღევანდელი კოლეგიის დღის წესრიგში სულ სხვა საკითხი იდგა განსახილველად, თანაც მეტად სერიოზული და ჩამაფიქრებელი. ეს კოლეგიის ხაგანგებო სხდომა იყო, ალბათ სამინისტროს ისტორიაში პირველი. ამ გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ: სამინისტროს სისტემის, გაერთიანებებისა და ტრუსტების მმართველები, პარტბიუროს მდივნები, თავიანი ბიუროლტრები, გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეები, სახალხო კონტროლის თავმჯდომარეები, სამინისტროს სამმართველოს და განყოფილებების უფროსები, საკონტროლო სარევიზიო სამმართველოს მუშაკები, პარტბიუროს, პარტიული კომისიის, იდეოლოგიის, კომკავშირის ბიუროს, სახალხო კონტროლის ჯგუფის მთელი შემადგენლობა, სისტემის მოწინავე ხამშენებლო კოლონის უფროსები, თავიანი ინჟინერები, სამუშაოთა მწარმოებლები, ბრიგადირები, მუშები და მექანიზატორები.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის ორგანიზაციის რაიკომის, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახელმწიფო ბანკისა, საქალაქო და რაიონული ბანკების, პრესის წარმომადგენლები.

კოლეგიის მუშაობას სასელექტორო ქსელის საშუალებით რესპუბლიკის თითქმის ყველა მხარეში ადგილებზე თვალყურს ადევნებდა სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივი.

დარბაზში მყოფნი გრძნობდნენ დიდ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ კოლეგიას უნდა განეხილა მეტად საგანგაშო შემთხვევა, რომელიც გამოვლინდა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში და ცენტრალურ ნორმატიულ საგზურში. საკითხი ეხებოდა საბჭოთა ქონების დატაცებას და მოგვისებას აპარატის ბუღალტერიაში 1971 წლიდან მიმდინარე წლის აპრილამდე.

— კოლეგიის სხდომა საგანგებოა და საკითხი მეტად საგანგაშოა ითტომაც, — განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში მინისტრმა ამხ. ი. ხარატიშვილმა, — რომ ეს ბოროტმოქმედება მოხდა იმ პერიოდში, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მკაცრი ბრძოლაა გამოცხადებული ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისა და ნანაშაულის წინააღმდეგ. ამიტომაც, დღეს კოლეგიამ მთელი სიმკაცრით უნდა იმსჯელოს ამ უმსგავსო ფაქტის შესახებ და დასახოს ღონისძიებათა კომპლექსი სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებში ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, დარღვევების, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განადგურების აღმოფხვრისათვის. ამ მწარე გაკვეთილიდან ყველამ საბერო დასკვნა უნდა გამოიტანოს!

2.

...ეს ამბავი ასე დაიწყო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულმა კურსმა ჩვენი ცხოვრების განახლებისა და გაჯანსაღებისათვის დადებითი გავლენა იქონია მთლიანად რესპუბლიკის საქმიანობაზე, მათ შორის სასოფლო მშენებლობის სამინისტროზეც. იგი საკავშირო ხელმძღვანელობა ,ოფილ ორგანიზაციებში ,ოფილ ,ოფილ ,ოფილ

მზიური ნიჭი

ნოდარ დუმბაძე 50 წლისაა



2026 ნოდარ დუმბაძეს მხოლოდ მისი წიგნებიდან იცნობს, ან მხოლოდ „ხალხში“ შეხვედრია, მის თვალში ეს ადამიანი ალბათ სხმარულის, ხილულის, მხიარულების განსახიერებაა.

უმრავლესობამ არ იცის, ბევრ ბუტანელ ტკივილსაც რომ ატარებს მისი გული.

ჩემი ბიჭობელი, ყველაზე ლაზი შოთაბეჭდილება მასთან შეხვედრისა სწორედ ერთ ასეთ ტკივილთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ ოთხქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა, დიდ მწუხარებაში ვნახე, — გამზდარი, მხრებში მოხრილი, მეგობრებს გამოყავდით ქუჩაში. მახსოვს როგორ უმტკივნეულ ნაბიჯმა სიდარბაზოდან გამოსვლისას.

ასეთი მწუხარება ჩვეულებრივ ორგულ ადამიანს ბუნებას. ზოგი ხატებს ამტვრევს, ზოგს სამუდამოდ სძულდება „ბედნიერი კაცობრობა“ და შეურიხლებს ფარული ორგულობით განაგრძობს არსებობას.

ნოდარ დუმბაძე ადამიანთა ამ ბეშეიათ მოდგმის ეკუთვნის, რომელთა სულშიც პირადი ტკივილი სხვებისათვის შვების მოტანის ცხოველმყოფელ წყაროდ აღიქმება.

რამდენ ადამიანს მოეფერა ამ თავისი სტატეთ, რამდენთა გულს გათბობა მოასწრო, რამდენ ხელჩაქნეული შემოაბარუნა, მოაქცია, დაარწმუნა, რომ ცხოვრება ღირს, რომ სიცოცხლე, მიუხედავად უამრავი უკეთურობისა, მაინც მაღლია, მაინც სიკეთეა, მაინც შვენიერებაა. და ხანამ ცოცხალი ხარ, შენც ამ სიკეთეს უნდა მოუარო, მოესყვარულო, ამრავლო და აღორძინო.

მე მინახავს ნოდარ დუმბაძეზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც მას პირადად არ იცნობენ. წამიკითხავს შორეული ქვეყნებიდან მოსული წერილები, რომელთა ავტორები მას წრფელი ალსარებით მიმართავდნენ. ყველა ამ წერილში იყო დიდი ნდობა და ინვედი, რომ ასეთი მწერალი მათაც გაუგებდა, მათ ჭირსაც უშველიდა...

ნოდარ დუმბაძის იუმორი მრავალფეროვანია, მიგრამ მას აქვს ერთი ორსებითი თვისება — ჩემი აზრით ყველაზე ძლიერი.

ამ თვისების ერთი სიტყვითი ლახასათვება შეუძლებელი უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში პირადად მე შესაფერისი ტერმინი არ მაგონდება), ამიტომ ასე ავხსნი: ბევრჯერ ყოფილვარ მომსწრე ამისა, თუ როგორ „დასცინის“ ნოდარი თავის ახლობლებს ან როგორ იგერიებს სხვათა „დაცინვას“ (თვითონაც არაერთგზის ადმოვჩენილვარ მისი ენამახვილობის შუაცეცხლშა). ყოველთვის მაკვირვებდა და მხიბლავდა ამ სიცილის უცნაური ტექნიკა. განსხვავებით მრავალთაგან, ის ასე „განადგურებს“, რომ შენ არ გწყინს, დამცირებულად არ გრძნობ თავს და ზოგჯერ სხვებსავთან ან სხვებზე უფრო გულიანადაც იცინი შენი განქიქების გამო.

რაღაც მალამოა ამ დაცინვაში, რომელიც საიდუმლოება მხოლოდ მან იცის.

სიცილი ნოდარ დუმბაძისათვის თვითდამკვიდრების ისეთივე ბუნებრივი ფორმაა, როგორც მხედართმთავრისათვის ომი ან ჩიტისათვის ფრენა.

ერთხელ, პირადი საუბრის დროს მითხრა: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი ამისთვის ავირჩიეთ“. ამ სტატეებში დიდი და ამაღელვებელი აზრი დევს. სიცილითთ მან მართლაც დიდი გასაქანი მოუპოვა თავის ნაზარეს და გულისნადებს. და რაც მთავარია, ეს თავისუფლება ბოროტად არ გამოუყენებია. მისი სიცილის მთავარი დანიშნულება სიკეთისათვის კარის გაღებაა. სწორედ სიცილით შეგვაყვარა მან თავისი უსაყვარლესი გმირები, სიცილითვე გვანიშნა ადამიანთა შეცდომების მრავალი სათავე, ოღონდ ისე, რომ ყველა თავის მსმენელს გამოსავალი დაუტოვა. ნუგეშის წყალი არ გადაუწურა, ნდობით და თანაგრძნობით მოალბო მათი გულები.

ამ თვისებას ის ამშვიათად ლალტობს და თუ როდისმე მაინც ლალატობს მე ვიტყოდი, რომ თვითონვე ლალატობენ ამით, ვინაიდან მწარე, დაუზოგავი ირონია ცეხოა მისი ნამდვილი ბუნებისათვის, ბუნებამ ის სხვი მოწოდების, სხვა მისიის ალსასრულებლად ჩაიფიქრა.

მას უნდა ემცნო ჩვენთვის (ჯერ ქართველებისათვის, მერე კი მკითხველთა გაცილებით უფრო ფართო წრისათვის) თუ რამხელა განძს, სულგრძელობის რა უზრეკავ მარგს, სიცოცხლისადმი დაუღლელი, სიყვარულის რა განსაცვიფრებელ უნარს ფლობენ საუკუნეთა მანძილზე ჭვარცმული, ნაგვემი და ნაოხარი ძველთაძველი ქვეყნის დღევანდელი შვილები, როგორ გადარჩა და შეინახა თავი ჩვენს ბუნებაში ღიმილის ნიშმა, ნდობის ნიშმა, სიმხნეკვის ნიშმა, როგორ იხარა ნამეხარ ძალქვაზე ჩვილმა რტომ, როგორ ბინდიანად გასწორდა წელში მარადი ყოფნის ახლიდან (ალბეგ ერთხელ!) დასაწყებად...

სიცილი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი ნიშნითაგანია. ვიდრე ადამიანს მტერზე, მოყვარეზე, თავის თავზე, საერთოდ რიანეზე გაცინება შეუძლია, ეს ამას ნიშნავს, რომ მისი საქმე ჯერ კიდევ არ წაბზარია, ხალხი, რომელმაც ასეთი სალი, ასეთი გამძლები სიცილის უნარი შეინარჩუნა, არ არის განწირული.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში — დიდი ზარისა და განსაცდელის, საუკუნის დიდ წარღვნათა შემდეგ. და ეს თქვა ნოდარ დუმბაძემ. ეს იყო მისი უპირველესი საქმელი. ამის ასე თქმა სხვას არავის შეეძლო.

ნოდარ დუმბაძის ფენომენი გაუყოფელი საწილია ჩვენი დღევანდელი სიბეჯითა მწერლობისა, ის თავისებურ ელფერს აძლევს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და მისი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმმართველია.

უფრო მეტიც: ამ ფენომენის გარეშე დღეს შეუძლებელია თვით ჩვენი ეროვნული ცხოვრების, მისი ამჟამინდელი რეალობის წარმოდგენა. მან შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში გადასულიყო და თანამედროვე ქართველების დიდი ნაწილის განწყობილებებს დაუფლებოდა.

ნოდარ დუმბაძეს აბლა ბევრი (ბევრია თუ შენიღბული) მიმბაძველი ჰყავს. მის ინტონაციას ზოგჯერ სრულიად სხვა, არამნთაესავი წარმომავლობის ნაწარმოებშიც კი შეხვდებით. ეს გავლენა უკვე თავისებური ინერციად იქცა და ეპიგონობის მოდენ ნაკადს დაუდო სათავე.

ამავე დროს ნოდარ დუმბაძეს დღევანდელ ქართულ მწერლობაში ჰყავს არაერთი სერიოზული (ასევე ბევრია თუ ქარაგმითქუდა) ოპონენტი. მე მხოლოდ ერთს ვიცნობ, ერთ ჩვენგანს. ეს ადამიანი ამჟამად მეოთხედ საუკუნეა ქართველ ადამიანთა ეროვნული ... ასეთი მიმართულებ... ერთ-ერთ ... ასეთ ... ეროვნული ... ტატ... ... ...

საქართველოს სსრ
ჟურნალისტთა კავშირი

კონკურსი

საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების და საგზაო ცხოვრების წესის პროპაგანდა

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე გაკეთებული მოხსენებებიდან გამომდინარე დებულებების პროპაგანდას და ცხოვრებაში დამკვიდრების ასახვას საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების ფურცლებზე.

გაზეთები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში, ფართოდ უნდა ასახავდნენ საბჭოთა ადამიანის ერთგულებას, კომუნისტური იდეალებისადმი, თავდადებულ შრომას ქვეყნის საკეთილდღეოდ, საბჭოთა პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს და ყველა იმ თვისებას, **რომლებიც** დამახასიათებელია საბჭოური ცხოვრების წესისათვის, მის ბრძოლას ყოველგვარი დრომოჭმული, მავნე ჩვევების წინააღმდეგ. მასალების აზრობრივ სიღრმესთან, ჟანრობრივ მრავალფეროვნებასთან, მაღალ ჟურნალისტურ ოსტატობასთან ერთად კონკურსის შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება ისიც, თუ როგორ ცდილობს გაზეთი გამონახოს ახალი საბჭოთა კონსტიტუციით განსაზღვრული საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდის უფრო სრულყოფილი ფორმები და მეთოდები, როგორია ამ საქმეში მისი, როგორც არა მარტო კოლექტიური აგიტატორისა და კოლექტიური პროპაგანდისტის არამედ კოლექტიური ორგანიზატორის როლიც.

დაწესებულია 6 პრემია: საქალაქო და რაიონული გაზეთებისათვის — ერთი პირველი პრემია — 300 მანეთი, ორი შეორე პრემია 150-150 მანეთი, სამი მესამე პრემია 100-100 მანეთი; მრავალტირაჟიანი გაზეთებისათვის სამი პრემია, თითოეული 100-100 მანეთის რაოდენობით.

საკონკურსოდ შერნეული მასალები 1978 წლის 30 ნოემბრამდე უნდა გამოიგზავნოს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სახელზე ფოსტაზით — „საბჭოური წესისათვის". მისამართი ლენინის ქ. № 14, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნეს 1978 წელს გამოქვეყნებული მასალები.

კონკურსის შედეგები შეჯამდება 1979 წლის იანვრისათვის და გამოქვეყნდება პრესაში.

საკონკურსო მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა.

გაფხულის დედაქალაქში



გაფხულის ცხელ დღეებში ლისის ტბა ყოველთვის მრავალ თბილისელს იზიდავს. ტყის ჩრდილით დაფარული ნაპირი, მწვანე ტბის წარმტაცი ბუნება, ქვიშიანი სწორი პლაჟი სახალისოა დამსვენებლებისათვის.

წელს აქ ბევრი რამ გაკეთდა თბილისელთა უკეთ მომსახურებისათვის. დამსვენებელთა განკარგულებაშია გასახური ლეიბები, დასაკეცი დასასვენებელი კომპლექტები, ნავები, წყლის ველოსიპედები.

ნორჩებისათვის აქ მუშაობს სხვადასხვა ატრაქციონი, მათ განკარგულებაშია ბავშვთა ველოსიპედები და ავტომობილები.

სულ ახლახანს აქ დაიწყო სეირნობა საბავშვო ფიატონით, რომელშიც ჩაბმულია პატარა ცხენები — პონები.

ძალიან დასანანია, რომ ამდენხანს ვერ მოწესრიგდა ლისის ბაზაზე მიმავალი ტრანსპორტის საქმე. რატომღაც არ მუშაობს არც № 33ა ავტობუსის მარშრუტი, არც ლისის ტბის ახალი საბაგირო გზა, რომელსაც ახე ელოდნენ თბილისელები.

ს. ბილაძის ფოტო და ტექსტი.

სსრ კავშირის ხალხთა
ფიზიკოსთა
ასოციაციის
ბიულეტენი

ეფეფბი მკურნალობენ

აკადემიკოს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მესტიაში გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სესია გამართა რაიონის მედიცინის მუშაკთათვის.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პროფესორმა გ. ფოსელიანმა.

მოხსენებები მიეძღვნა ქირურგიულ დაავადებათა სამეცნიერო-ექსპერიმენტულ გამოკვლევებისა და მკურნალობის საკითხებს.

სესიის მუშობის დღეებში ინსტიტუტის სპეციალისტებმა, რომლებიც შეფობენ მესტიის რაიონს, კონსულტაციები გაუწიეს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ ავადმყოფებს.

ვ. კოკოჩაშვილი.

დაბა დაამშვენა

კოზულეთი. (ხაკ. კორ.). პატარა ქალაქს წაადგა ფიფა ობხმური. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, უნივერსალური მაღაზია, კულტურის სასახლე, მოასფალტებული გზები და ნეოგენებით დაბურული სკვერები — ასეთია დღევანდელი ობხმური.

ახლახან აქ აშენდა სადაბო საბჭოს მრავალსართულიანი შენობა.

„ფეხბურთი-78"

ასე ეწოდება ქართულ ენაზე გამოცემულ ცნობარს, რომლის შეძენაც ფეხბურთის ქომაგებს შეუძლიათ საგაზეთო ჯიხურებში.

უფრო ადრე, რუსულ ენაზე გამოშვებული ამგვარი ცნობარისაგან ახალი გამოცემა იმით გამოირჩევა, რომ მასში მოთხრობილია ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის შესახებაც. მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის სტატისტიკას, მატჩების შედეგებს, გატანილი გოლების ავტორებს და სხვა.

ცნობარში სხვა მრავალი და საინტერესო მასალაც მოიპოვება: ყველა ლიგისა და საქართველოს ჩემპიონატების კალენდრები, გუნდების ავიზიტო ბარათები, სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშების ექსკურსი მეოთხედფინალური მატჩების ჩათვლით, წარსული სეზონის ციფრები და ფაქტები, გათამაშებათა ცხრილები, თბილისის „დინამოს" არქივი, ქვეყნები და მატჩები, თბილისის დინამოელები ევროპის საჭეშო ტურნირებში...

„ფეხბურთი-78" გამოცემულია მასობრივი ტირაჟით და ღირს 45 კაპიკი.

ფიზკულტურა და სპორტი

გაზეთ „საოვეტსკაია სპორტის" ყოველკვირეული დამატების „ფუტბოლ-ხოკეის" რედაქტორმა, ფეხბურთის ცნობილმა მიმმხილველმა ლ. ფილატოვმა ასეთი შეფასება მისცა ჩემპიონატის მეორე წრის მიჯნაზე თბილისს „დინამოს": **„პირველი წრე მოიგო თბილისმა „დინამომ", რომელსაც ჩემპიონის ტიტში აქვს აღებული. ეს გუნდი ახლა ჩვენში როგორც შემადგენლობით, ისე თამაშით ყველაზე მეტად თანაბარი და მომწიფებულია. მეორე წრე მისი ნებისყოფის გამოცდა იქნება. ამ ხიტუაციაში არ შეიძლება ამ გუნდმა მინზად არ დაისახოს ჩემპიონობა და ახლა განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ გამოიჩენს თავს".**

უკეთ ვერ იტყვი! წლევანდელ სეზონში თბილისის „დინამო" კიდევ უფრო მონოლითური, უფრო ძლიერი და უფრო მიზანმიმართული კოლექტივის შთაბეჭდილებას ტოვებს. გუნდის ძალები და შესაძლებლობანი რომ მაღალია, ისიც ადასტურებს, რომ როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო შემადგენლობებს გათამაშების ცხრილებში პირველი ადგილები უკავიათ. სწორედ ეს გახლავთ უტყუარი საბუთი იმისა, რომ მწვრთნელებმა შეძლეს ძალთა სწორად განაწილება და უძლიერესთა შორის უძლიერესის სახელის მოპოვებისათვის ფეხბურთელთა მობილიზება.

უმაღლესი ლიგის თექვსმეტ გუნდს შორის წლევანდელ სეზონში გამორჩეული, ვიმეორებთ, ისეთი მაღალი პოტენციური შესაძლებლობის გუნდიც კი, როგორიც თბილისის „დინამოა". პირველი წრის გარკვეულ მონაკვეთებში ვერ გადაურჩა სათამაშო კონდიციის ერთგვარ დაქვეითებას.

ცხადია, ეპიზოდურ წარუმატებლობათაგან დაზღვეული არავინ არის. „დინამოს" დროებითი წარუმატებლობათა (იყო რამდენიმე მატჩი, როცა პრესაში გარკვეული შეშფოთება გამოითქვა) მიზეზი უმთავრესად გუნდის წევრთა ერთი ნაწილის ტრავმები გახლდათ და, ცხადია, მისი ხელმძღვანელობა შეეცდებოდა იმ გზების მოძებნას, რომლებსაც კოლექტივი კრიზისული მდგომარეობიდან უნდა გამოეყვანა.

და აი, „დინამოს" შემადგენლობაში გუთვალისწინებელმა მონაცვლეობამ კიდევ უფრო წარმოაჩინა ის ძალები, რომლებიც დუბლიორთა ღირსებას ისე ეცავენ, როგორც უკვე „დაღვინებულ" ოსტატებს შეფერით. საჭიროების შემთხვევაში მწვრთნელებს თამამად და გაბედულად შეეძლოთ ბევრი მაგალითის (ბაზაზაშვილი, მინაშვილი, რუხაძე, გოგოლაძე). ძირითად შემადგენლობაში გაძღყვანა. უფრო მეტიც, შუა სეზონში დინამოელებმა დახმარების ხელი გაუწოდეს ქუთაისის „ტორპედოს" (ახლა იქ თამამობენ ძებისაშვილი, ფოფხაძე და ებანოიძე).

ერთი სიტყვით, „დინამოს" საიმედო რეზერვი ჰყავს.

პირველ წრეში „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ოცდაერთმა ფეხბურთელმა. აქედან თხუთმეტივე მატჩში მონაწილეობა მიიღო ოთხმა: ხინჩაგაშვილმა, მანეჩარ მაჩაიძემ, ქორიძემ და შენგელიამ. ამ მხრივ დანარჩენ ფეხბურთელთა მაჩვენებლები ასეთია: კინთელაძე — 14, მუჯირი, ჩიკვაძე და ყიფიანი — 13-13, ხიზანიშვილი — 12, გუცაევი — 11, გოგია — 9, გოჩა მაჩაიძე — 8, გაბელია და ჩელებაძე — 7-7, კოპალეიშვილი — 5, დარასელია და მინაშვილი — 3-3, ბაზაზაშვილი და რუხაძე — 2-2, დურდაძე და გოგოლაძე — თითო მატჩი.

პირველ წრეში დინამოელებმა სულ 22 გოლი გაიტანეს. აქედან შენგელიამ — 9, ყიფიანმა — 5, ჩელებაძემ და ქორიძემ — 3-3, გოჩა მაჩაიძემ და გუცაევმა — თითო გოლი. როგორც ხედავთ, დინამოელ გოლეადორებში მთავარი მოქმედი პირები არიან შენგელია და ყიფიანი. რაც ამ სტატისტიკას ჩავუკვირდებით, არ შეიძლება ერთგვარმა უკმაყოფილებამ არ შეგვიპყროს. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე წრეში შენგელიას და ყიფიანის თანაგუნდელი ფორვარდები თუ ნახევარმცველები შეეცდებიან უფრო ზუსტნი იყვნენ მეტოქის კარისაკენ ბურთის გაგზავნაში.

და კიდევ ერთი სტატისტიკა, რომელიც, სამწუხაროდ, უსამართლოთა კატეგორიის მიეკუთვნება. რას იზამ, გვესიამოვნება თუ არა, სიმართლეს თვალებში უნდა შეგხედოთ! საკითხი ეხება იმას, თუ ვინ გაფრთხილეს და ვინ გაამეორეს მინდვრიდან. ამ მხრივ დინამოელებს პირველ წრეში მაინ-ცადამაინც კარგად ვერ ჰქონდათ საქმე. მაგალითად, კინთელაძე გაფრთხილეს 12 აპრილს და 17 ივნისს (ჯერ კიევის დინამოელებთან, ხოლო შემდეგ ერევნის „არარატთან" მატჩში). ამის გამო მან 21 ივნისს გამოტოვა სათასო შეხვედრა „ლოკომოტივთან". გაიხსენეთ ამ მატჩის შედეგი: ვაგებდით ანგარიშით 2:0, საბოლოოდ კი შეხვედრა ფრედ დავამთავრეთ და გამოვეთიშეთ თასსათვის ბრძოლას. კვლავ კინთელაძე: 1 ივლისს „ლოკომოტივთან" მატჩში ჯერ გაფრთხილეს, შემდეგ კი გააძევეს და შედეგად ორი თამაშით დისკვალიფიცირებულია. მეტისმეტი ხომ არ არის ერთი ფეხბურთელისთვის? მუჯირი გაფრთხილეს 16 აპრილს „პახტაკორთან" სათასო მატჩში, 27 ივნისს — ცსკასთან შეხვედრაში. ამის გამო მან 1 ივლისს გამოტოვა თამაში „ლოკომოტივთან". ქორიძე გაფრთხილეს 2 აპრილს „პახტაკორთან" სათასო შეხვედრის დროს. მაყურებლის სიმპათია, ცხადია, ხაკუთარი გუნდის მხარეზეა. იგი სტადიონზე მოდის იმ განწყობით, რომ საყვარელი გუნდისაგან იხილოს კარგი, ლამაზი, ლაღი და უშეღავათო, მაგრამ კორექტული თამაში.

სხვას თავი დავანებოთ, არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ ჭიმმარიტ მაყურებელთა გვერდით თითო-ოროლა უხამსსაც ნახავთ, სწორედ ასეთები გვევლინებიან ხოლმე. უხეშ მოთამაშეთა მოკავშირეებად და ამიტომ უნდა ახსოვდეს თითოეულ ფეხბურთელს, რომ არასპორტულ საქციელს კიდევ უფრო მძიმე, ხელოგნობით გამოხატული საქციელი მოჰყვება ხოლმე. მინდორზე ფეხბურთელთა არასპორტული ქცევა მაყურებლებზეც მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს საპელაციო ჟიურომ თბილისის სტადიონის დერეკცია, „დინამოს" მწვრთნელები და ფეხბურთის ადგილობრივი ფედერაცია გაფაფრთხილა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ისინი აგებენ პასუხს მაყურებელთან მუშაობის ხარისხისათვის. **თუ ზემოაღნიშნულის მსგავსი შემთხვევა განმეორდება, სტადიონის მიმართ მიღებული იქნება სანქციები, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონატის დებულებაშია განსაზღვრული.**

უთუოდ დასანანი ფაქტი. დასანანია იმიტომაც, რომ თბილისსა და რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის, პრესის მუშაკთა მიერ გაწეული ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და სხვადასხვა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ „დინამოს" სტადიონზე თითო-ოროლა თავიანთ ძირითად ტერიტორიებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საბელოს შეპირავლას. ასეთი ვაი-შემატკივრებს, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

და ისევ დინამოელთა შედეგზე, რომელმაც პირველი წრის შემდეგ გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი დაუმკვიდრა. გუნდმა ეს წარმატება 23 ქულის დაგროვებით შეძლო. შარშანდელ სეზონში ქვეყნის ჩემპიონმა კიევის „დინამომ" პირველი წრის შემდეგ 21 ქულა დაგროვა, ხოლო მეორე წრეში — 22, თბილისის „დინამომ" — ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა შესაბამისად — 20 და 19 ქულა.

თუ ამ თვალსაზრისითაც ვიანალიზებთ თბილისელთა წლევანდელ სატურნირო მდგომარეობას, ათასგზის მართალია ლ. ფილატოვი, როცა ამბობს, **თბილისის „დინამოს" ჩემპიონის ტიტში აქვს აღებულია.** ეს ადასტურებს იმასაც, რომ თბილისელთა უფროსი მწვრთნელის ნოდარ ახალაძის, მწვრთნელების კახა ასათიანის და სერგო კუტიავის — როგორც ძირითადი, ისე დუბლიორიგ შემადგენლობებთან მუშაობისას ყოველდღიური ძიება უთუოდ სწორად აღებულ გზას მიუდგეს. ცხადია, გუნდთან მუშაობისას არ შეიძლება დროდა-დრო ადეი არ ინინოს სიძნელეებმა, მაგრამ არჩეულმა სტრატეგიამ სასურველი ნაყოფი უნდა გამოიღოს. მ